სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის
საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი მაია ცნობილაძე

პრაქტიკის კვლევის

„კლასგარეშე ლიტერატურის კითხვისთვის საჭირო უნარების განვითარება საბაზო საფეხურზე“

ანგარიში

2019 წელი

შინაარსი

შესავალი 3

თავი I .3საკვლევი საკითხის მიმოხილვა 3

1.1.მოკლე ინფორმაცია სკოლის და სამიზნე ჯგუფის შესახებ 3

1.2.პრობლემის აქტუალობის დასაბუთება 3

1.3.კვლევის მიზანი 5

1.4.კვლევის ამოცანები 5

თავი II 6

ლიტერატურის მიმოხილვა 6

თავი III 14

კვლევის ანალიზი 14

3.1.კვლევის მთავარი კითხვა და ქვეკითხვები 14

3.2.კვლევის დღიური 14

3.3. სამიზნე ჯგუფები 15

3.4 კვლევის მეთოდები 15

3.5. საკვლევი საკითხის მონაცემთა ანალიზი 17

თავი IV 23

ინტერვენციები, კვლევის ვადები,შეფასება, მიგნებები,რეკომენდაციები და დასკვნა 23

4.1. ინტერვენციები 23

4..2. კვლევის ვადები 25

4.3. ინტერვენციების შეფასება 26

4.4. მიგნებები 27

4.5. რეკომენდაციები 27

4.6. დასკვნა 28

ბიბლიოგრაფია 28

დანართი N1 29

კითხვარი მოსწავლისთვის 29

დანართი N2 31

კითხვარი მშობლებისათვის 31

დანართი N3 33

კითხვარი ბიბლიოთეკარისთვის 33

კვლევის რეფლექსია 34

შესავალი

აქ წარმოდგენილი ნაშრომი წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლაში განხორციელებული კვლევის ანგარიშს.კვლევა განახორციელა ამავე სკოლის მასწავლებელმა მაია ცნობილაძემ.

ნაშრომი შედგება თავებისაგან.პირველი თავი წარმოადგენს ინფორმაციას სკოლის შესახებ, საკვლევი საკითხის მიმოხილვას,პრობლემის აქტუალობას, კვლევის მიზანსა და ამოცანებს. მეორე თავში მოცემულია და განხილულია სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები საკვლევი საკითხის შესახებ. მესამე თავში მოცემულია კვლევის ანალიზი,კვლევის მეთოდები, კითხვები და ქვეკითხვები. მეოთხე თავი მოიცავს ინფორმაციას კვლევისინტერვენციების,ვადების, მიგნებების, რეკომენდაციების შესახებ, აქვე მოცემული დასკვნა. მეთოდოლოგიასა და კვლევის ვადების შესახებ. კვლევის ბოლოს მოცემულია ბიბლიოგრაფია და დანართები, რომლებშიც წარმოდგენილია კითხვარები.

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1.მოკლე ინფორმაცია სკოლის და სამიზნე ჯგუფის შესახებ

სორმონის საჯარო სკოლაში სწავლობს 35 მოსწავლე.სკოლაში მუშაობს 16 მასწავლებელი,რომელთაგან 11 უფროსია, 1 წამყვანი,ხოლო ოთხი პრაქტიკოსი.

პედაგოგები უწყვეტი რეჟიმის ფარგლებში გადიან გადამზადებას, დადიან ტრენინგებზე, აწყობენ შეხვედრებს კათედრაზე. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო და პოზიტიური ფიზიკური გარემო, სკოლა აღჭურვილია კომპიუტერებით, აქვს ბიბლიოთეკა, რაც ეხმარება მოსწავლეს სწავლა – სწავლებისას საჭირო უნარების გამომუშავებაში.

2018–2019 სასწავლო წელს სორმონის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე სწავლობს რვა ბავშვი: მეშვიდეში ორი, მერვეში ერთი და მეცხრეში ხუთი მოსწავლე .

1.2.პრობლემის აქტუალობის დასაბუთება

ჩემი პედგოგიური პრაქტიკის განმავლობაში, მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით იკვეთება, რომ სწავლის ხარისხი დაბალია, ამას ემატება ისიც, რომ მოსწავლეებში წიგნიერების დონე დაბალია. 21–ე საუკუნის დაჩქარებული

ცხოვრების ტემპის პირობებში, მხატვრული ლიტერატურის კითხვა ფუფუნებად იქცა. ამის დრო სულ უფრო ცოტა მოზარდს აქვს. ამას დღეს ბევრი სხვა პრობლემაც ემატება. მიუხედავად იმისა, რომ გახშირდა ელექტრონული ვერსიები, უფასო და ფასიანი საიტები ,სადაც ბევრი წიგნია ნათარგმნი, მისი ხელში“ დაკავება“ მაინც არ უნდა უმრავლესობას. აშკარა გახდა მოზარდების გაუცხოება წიგნის მიმართ. ამ ყველაფერმა განაპირობა მთელი რიგი პრობლემები: მეტყველების განუვითარებლობა, მწირი ლექსიკური მარაგი, აზროვნების სიხისტე, განათლების დაბალი დონე და ასე შემდეგ, რამაც თავისთავად წარმოშვა სირთულეები მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაში.

პრობლემის გამომწვევი მიზეზი სავარაუდოდ რამდენიმე შეიძლება იყოს:

1. კითხვისადმი დაბალი ინტერესი.

2. საოჯახო საქმეებით დატვირთვა.

3. გაურკვევლობა/ვერ ერკვევიან რა წაიკითხონ.

4. თავისუფალი დროის არქონა, ან მისი არასწორად გამოყენება.

5. ოჯახში ბიბლიოთეკის არქონა, ან მცირე ბიბლიოთეკა, რომელიც არ იძლევა არჩევანის გაკეთების საშუალებას.

6. მშობლების დაბალი ინტერესი კითხვისადმი.

7. უჭირს წაკითხულიდან აზრის გამოტანა.

8. ასაკის შესაბამისად სხვადასხვა ინტერესის გაჩენა, რის შედეგადაც აღარ აქვთ თავისუფალი დრო.

როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, მიმაჩნია, რომ ერთ–ერთი გზა ამ პრობლემებიდან თავის დასაღწევად სწორედ რომ არის მოსწავლეებს შევაყვაროთ კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა და დავანახოთ, თუ რამდენად აუცილებელია იგი მოზარდის პიროვნებად ფორმირების პროცესში. მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ მის ხელთ არსებული ყველანაირი რესურსი – ინტერნეტი, კომპიუტერი, ტელეფონი, ყურსასმენი, პლანშეტი – შეუძლია კითხვისთვის გამოიყენოს, რომ ლიტერატურის კითხვა შეუძლიათ გზაზე, სახლში, თამაშისას, ძილის წინ, მოგზაურობისას, რომ კითხვა სიამოვნებაა, რომ ფრაზა „წაიკითხე წიგნები, უკეთესად იქნები“ მართალია და არა მარტო შავით თეთრზე დაწერილი სიტყვები.

1.3.კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია დავადგინოთ რატომ არ კითხულობენ მოსწავლეები კლასგარეშე მხატვრულ ლიტერატურას, გამოინახოს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები, დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტერვენციები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მხატვრული ნაწარმოების / ლიტერატურის კითხვის უნარების განვითარებას.

1.4.კვლევის ამოცანები

1. სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა

2. საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება

3. საკვლევი საკითხის აქტუალობა და მიზნები

4. პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება

5. საკვლევ საკითხზე ლიტერატურის დამუშავება

6. კითხვარების შემუშავება მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, ბიბლიოთეკარისთვის

7. გამოკითხვა

8. გამოკითხვისა და ჯგუფების კითხვარების შედეგების ანალიზი

9. შედეგებიდან გამომდინარე ინტერვენციების დაგეგმვა

10. საბოლოო დასკვნა

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა დასაზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციებს, რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები მოიცავს იმ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რომელთა გამომუშავებასა და განვითარებას ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სწავლება, სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებასთან ერთად. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს, რომ მან ერთ რომელიმე საგანში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამჭოლ კომპეტენციათა შორის გამორჩეულად არის აღსანიშნი წიგნიერება. ტრადიციული გაგებით სიტყვა „წიგნიერება“ გულისხმობს , კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით, ენის გამოყენების უნარს. დღეს ამ ცნების შინაარსი გაცილებით მეტს მოიცავს. თანამედროვე გაგებით , წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის ინფორმაციის დამუშავების, იდეების და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილებების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს. აღსანიშნავია, რომ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, თანამედროვე სამყაროში, ტრადიციულ ტექსტებთან ერთად , მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა, ტექსტებმა, რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. გაჩნდა ახალი ცნება – მედიაწიგნიერება. თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე მძლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამიტომ აუცილებელია, მოსწავლემ შეძლოს, ერთი მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა – გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა, მეორე მხრივ, მედიასამყაროში ორიენტირება, სწორი არჩევანის გაკეთება, ინფორმაციის „გაფილტვრა“ და მიღებული ცოდნის კრიტიკულად შეფასება. ამ თვალსაზრისით, მედიაწიგნიერება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, მისი, როგორც აქტიური რესურსის გამოყენება სასკოლო სივრცეში, საშუალებას იძლევა, სხვა გამჭოლი მიზნების აქტივიზაციის პირობებში, გამოუმუშავდეს მოსწავლეს მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადექვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება.(კითხვის ეფექტური მეთოდები –

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი–2013–ნათია ნაცვლიშვილი,ზაქარია ქიტიაშვილი–გვ.7).

21 – ე საუკუნის პირველსავე წლებში მოწინავე ქვეყნებმა (აშშ–მ, დიდმა ბრიტანეთმა და სხვებმა) თავიანთი საგანმანათლებლო სისტემების მსოფლიოში არსებულ ახალ რეალობაზე მორგება დაიწყეს. მალევე დაიწყო მოძრაობა, რომელსაც „XXI საუკუნის უნარები“ უწოდეს. ამ მოძრაობაში ჩართულმა ცნობილმა სპეციალისტებმა სასწავლო საგნების ახალი პროგრამები შექმნეს. ექსპერტები შეთანხმდნენ, რომ საჭირო უნარებს შორის სასიცოცხლოდ აუცილებლად შეიძლება მივიჩნიოთ კრიტიკული აზროვნება, პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირება და შემოქმედებითობა ანუ კრეატიულობა. ექსპერტები თანხმდებიან, რომ ეს უნარები მხოლოდ წარმატების მისაღწევად კი არა არის აუცილებელი, არამედ მათ გარეშე შესაძლოა მომავალში ცხოვრებაც გაჭირდეს სხვადასხვა მიზეზით შექმნილი ურთლესი პირობების გამო. 21– ე საუკუნის უნარები სწორედ ამას გულისხმობს – მოულოდნელ ვითარებაში გარკვევისა და გამოსავლის პოვნის უნარს. ცხადია, ეს უნარები სულაც არა არის ახალი, ათასწლეულების განმავლობაში მთელი კაცობრიობის პროგრესს სწორედ ისინი განაპირობებენ. ამ უნარების მქონე ადამიანების დამსახურებაა ყველა გამოგონება, მარტივი ხელსაწყოებით დაწყებული (რომლებიც თავისი ეპოქისთვის სულაც არ იყო მარტივი), მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მომხდარი უზარმაზარი აღმოჩენებით დამთავრებული.

რატომ უნდა ვასწავლოთ ლიტერატურა? ამ კითხვაზე ყველაზე მარტივი პასუხი ალბათ ის არის, რომ იგი ავითარებს შემოქმედებითი აზროვნების, ფანტაზიის უნარს. ლიტერატურა ხვეწს მოზარდის ენასა და მეტყველებას, აყალიბებს აზრებს და მათი გამოხატვის ხერხებს, ავითარებს ანალიტიკურ უნარებს. ლიტერატურა მოზარდს საშუალებას აძლევს გასცდეს საკუთარ ვიწრო საზღვრებს და წამოიდგინოს სხვა კონტექსტი. შესაბამისად ლიტერატურა სოციალურ თანაგრძნობას იწვევს. მოზარდებს მხატვრული ლიტერატურის კითხვისას უჩნდებათ შესაძლებლობა დაინახონ ერთი რეალობის სხვადასხვა მხარე.

კარგი ლიტერატურული ნაწარმოების კითხვისას ყოველთვის ჩნდება ლოგიკური განცდები. კლასგარეშე ლიტერატურის არჩევისას უფრო თამამები შეიძლება გავხდეთ, ბავშვები უნდა დავარწმუნოთ, მათ იმის რწმენა უნდა ჩავუნერგოთ, რომ დიდი ლიტერატურა ყოველ დროში იქმნება, ბავშვებს არ უნდა შევუქმნათ იმის შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი საუკეთესო წარსულში დარჩა, თანაც, უბრალოდ, უხერხულია, უფრო მეტი სირცხვილია თანამედროვე მოზარდი თანამედროვე ლიტერატურას არ კითხულობდეს.

„მოზარდმა უნდა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში“. თვითგანვითარების უნარის ქონა აუცილებელია

თანამედროვე სამყაროში დასამკვიდრებლად. კარლ როჯერსის აზრით, ადამიანს თანდაყოლილი მიდრეკილება აქვს პიროვნული ზრდისა და თავისი უნიკალური შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებისაკენ. ბუნებრივია, რომ თვითშემეცნების რეფლექსური აზროვნების უნარის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწავლების თანამედროვე მეთოდიკაში. მხატვრულ ლიტერატურას კი ამ უნარების განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობები აქვს. გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟის , ვასიკო კეჯერაძის ცნობილი მონოლოგს მოვიშველიებ: „ჩვენ, ვისაც ძლიერ გვიყვარს ლიტერატურა, ყველაფერი , ეჰ, ყველაფერი გამოგვიცდია – მეფედ ვუკურთხებივართ, ხან დაფნა დაგვიდგამს თავზე, ხანაც ეკალი... ჩვენ , ჩვენს ოთახებში მაგიდასთან თავდახრილნი ათასნაირი სიკვდილით მოვმკვდარვართ, ზღვაში ჩავძირულვართ, ქუსლში დავჭრილვართ, გილიოტინაზე ავსულვართ. ღმერთო, ჩემო, სულ რომ არაფერი, რამდენი ქალი გვყვარებია“. ამ ემოციური მონოლოგის შემდეგ კი აყალიბებს ლიტერატურის მნიშვნელობას: „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ , უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი“. მოსწავლეებს კარგად უნდა გავაგებიმოთ, რა უნარები და ფასეულობები სჭირდებათ მომავალი ცხოვრებისათვის. მართებული იქნება თუ, შესაბამისს კლასში შესაბამისი ფორმით, გავაცნობთ პიროვნების განვითარების ზოგიერთ თავისებურებებს. ლიტერატურა კი სწორედ ამის საშუალებას გვაძლევს.1

როცა წიგნს ვკითხულობთ, ჩვენს ცხოვრებისეულ ყოფით პრობლემებს, საზრუნავს ვაწყდებით. ამ დროს მწერალთან ერთად სამყაროს თავისუფალი მჭერმეტყველები ვხდებით და ვფიქრობთ იმაზე, რაც ყველაზე მთავარი და არსებითია – რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა, ვინ ვართ და რატომ ვართ ამქვეყნად, რა ძალები წარმართავენ ჩვენს ცხოვრებას, რა სძენს ან უკარგავს მას აზრს და ფასეულობას. ლიტერატურა მოგვაპოვებინებს იმას, რაც ყოველგვარ პრაქტიკულ და მატერიალურ სარგებელს აღემატება. მოგვაპოვებინებს პიროვნულ სახეს და ინდივიდუალურობას, აგვიხელს თვალს, გვანიჭებს სიმართლის, კეთილშობილებისა და სიყალბის, სიმდაბლის, ნათელის ხედვის ძალას, მშვენიერების და სხვა ღირებულებების ღრმა განცდის და წვდომის უნარს.

რატომ არ კითხულობენ დღეს წიგნებს და რატომ არის საქართველო ერთ – ერთი ყველაზე გაუნათლებელი ერი მსოფლიოში? გაოცდები კაცი იმდენად დიდია რაოდენობა ახალგაზრდებისა, რომლებიც შეცბუნების გარეშე გამოგიტყდებიან , კითხვა არ გვიყვარსო. რატომ უნდა ვიკითხოთ? იმიტომ – რომ პერსონაჟები შენს ცხოვრებაში შემოდიან და ავსებენ მას. ამერიკელ კრიტიკოსს დევიდ დენბის აქვს შესანიშნავი ფრაზა : “მე მქონდა ინფორმაცია და არა ცოდნა, შეხედულებები და არა პრინციპები, ინსტიქტები და არა მრწამსი“. დენბისთვის ეს ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც 48 წლის ასსაკში კლასიკოსების კითხვა დაიწყო. კარგი იქნება თუ მოზარდები ადრეულ ასაკში მიბაძავენ მას. სწორედ ამასვე ამბობდა

მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე – „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეაო“.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ კარგი მკითხველი ისეთივე იშვიათი მოვლენაა, როგორც კარგი მწერალი. მაგრამ, ალბათ, იშვიათად შეხვდებით ადამიანს, თავის თავზე რომ თქვას, ვერაფერი მკითხველი ვარო. ეჭვს არავისში იწვევს, რომ მუსიკალური ნაწარმოებისა და მხატვრობის აღქმისთვის ადამიანს, სულ ცოტა, სმენა და თვალთახედვა ესაჭიროება. თუ კაცს სმენა არ აქვს, ისე, რაღა თქმა უნდა სრულყოფილად ვერ აღიქვამს ვერც შოსტაკოვიჩის სიმფონიას და ვერც გურულ კრიმანჭულს, თუ იგი მწვანე და ლურჯ ფერებს ურევს ერთმანეთში, ვერც ფერწერული ტილოს აღქმა იქნება სრულყოფილი. ლიტერატურული ნაწარმოები კი ყველასთვისაა ხელმისაწვდომი განურჩევლად იმისა, გააჩნია თუ არა ადამიანს წიგნის კითხვისთვის საჭირო თვისებები. თუმცა ყველა ადამიანი ერთნაირად ვერ გამოავლენს ფანტაზიას, ემოციურ მგრძნობელობას, ინტერპრეტაციის უნარს და სხვა სამკითხველო ჩვევებს, რის გამოც მხატვრული ნაწარმოების აღქმის ხარისხი სხვადასხვა მკითხველისათვის განსხვავებული იქნება.

წიგნის კითხვის უნარი, რა თქმა უნდა, მუსიკალური სმენისა არ იყოს ნაწილობრივ თანდაყოლილი შეიძლება აღმოჩნდეს და ალბათ, ხელოვნების დიდი ინტერპრეტატორები, უპირველეს ყოვლისა, ღვთის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები არიან. მაგრამ, მეორე მხრივ, არც არავის მოგვეთხოვება მაინცდამაინც ლიტერატურის რიხტერები და პაგანინები ვიყოთ. თუმცა კულტურული მკითხველისათვის საჭირო ჩვევების გამომუშავება, თუკი სურვილი გვექნება, ყოველ ჩვენგანს შეუძლია.

გოეთე წერდა: სამი სახის მკითხველი არსებობს: ერთი, რომელიც განსჯის გარეშე ტკბება, მეორე, რომელიც ტკბობის გარეშე განსჯის და მესამე, საშუალო, რომელიც ტკბობისას მსჯელობს და მსჯელობისას ტკბება. სამკითხველო განწყობის ერთ – ერთი მხარის უგულებელყოფა სწორედ გოეთეს მიერ გამოყოფილ მკითხველთა პირველ ორ კატეგორიას წარმოშობს, ხოლო მათი სინთეზი აყალიბებს კვალიფიციურ მკითხველს, რომელსაც შესწევს ნაწარმოების გაგების უნარი.

კითხვა სასარგებლოა, არ არსებობს კითხვაზე უფრო მნიშვნელოვანი უნარ– ჩვევა, რომელსაც ადამიანის გონის, წარმოსახვის, თვალსაწიერის გაფართოება შეუძლია. კარგი მკითხველები გაცილებით უფრო მდიდარი და ფერადოვანი ცხოვრებით ცხოვრობენ, ვიდრე ადამიანები, რომლებიც არ კითხულობან. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ კითხვა , წარმოსახვითი სამყარო, ზუსტად იმ გავლენას ახდენს ადამინის ნევროლოგიურ სისტემაზე, რასაც რეალური სამყარო, – როდესაც პერსონაჟი განსაცდელშია და ამის შესახებ ვკითხულობთ, ეფექტი იგივეა, ჩვენ,

მკითხველები, თავად რომ აღმოვჩენილიყავით ამ განსაცდელში. დეკარტი ამბობდა: კარგი წიგნების კითხვა წარსული დროის საუკეთესო ხალხთან საუბარია, თანაც ისეთი საუბარი, როდესაც ისინი მხოლოდ საუკეთესო აზრებს გიზიარებენო. თუმცა ლიტერატურის ავტორიტეტი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ბავშვები და მოზარდები სვამენ , მათი აზრით , სამართლიან შეკითხვებს – რატომ უნდა წავიკითხოთ? რა იქნება თუ არ წავიკითხავთ? ბავშვები ძალიან უფრთხილდებიან თავიანთ რესურსებს, ძვირფას დროს, რომელიც უშურველად შეიძლება დახარჯონ კომპიუტერულ თამაშებზე, სხვა გასართობზე, ოღონდ არა კითხვაზე. მათ აქვთ სწორედ მსგავსი შინაარსის კითხვები, უფროსები კი მზად არ აღმოჩნდნენ პასუხის გასაცემად, ანდა მათი პასუხები ბანალური და მოძველებულია და ძალა არ აქვს. დადგა დრო, როდესაც შეკითხვას – რაში გვჭირდება ლიტერატურა და რას გვაძლევს ის, აღმოაჩნდა საფუძველი და მას დასაბუთებული პასუხი სჭირდება. ყოველთვის არსებობდა ხალხი,რომელიც კითხულობდა და პირიქით, არსებობდნენ ისეთებიც , რომლებიც არაფერს კითხულობენ.

მხატვრული ლიტერატურა იძლევა სპეციფიკურ განათლებას, არა მარტო ესთეთიკურ, არამედ შემოქმედებით განათლებასაც, ანუ გვაძლევს წარმოსახვის საშუალებას. წარმოსახვას ვერც ერთი დარგი ისე მძაფრად ვერ ავითარებს, როგორც ლიტერატურა. მხატვრული, გამოგონილი სამყარო გაცილებით უფრო ნამდვილია, ვიდრე ცხოვრება. ეს ჯერ კიდევ არისტოტელემ აღმოაჩინა, რომელმაც თქვა, რომ ლიტერატურაში მოვლენები ხდება აუცილებლობით ან მაღალი ალბათობით, ხოლო ცხოვრებაში კი შემთხვევითობით. თუკი ცხოვრებას აღწერ ისეთს, როგორიც არის, დამაჯერებელი არ იქნება. ცხოვრება არ არის დამაჯერებელი, ცხოვრებით ვერავინ ვერაფერს სწავლობს. რა თქმა უნდა, ლიტერატურის გარეშე შეიძლება ცხოვრება, წარმატების მიღწევაც, მაგრამ მხატვრული ლიტერატურის საფუძვლის გრეშე თითოეული წარუმატებლობა ადამიანისთვის კრახის ტოლფასია. უწიგნური ადამიანისთვის, მხატვრულად უვარჯიშებელი გონებისთვის, პირველივე წაფორხილება უკანასკნელი შეიძლება აღმოჩნდეს, მან შეიძლება წარმოიდგინოს, რომ სამყარო თავზე დაექცა.

ლიტერატურა გვეხმარება გავიგოთ როგორია სხვა. ჩვენ ვიცით მისი დამათრობელი ძალა, იგი კეთილი ნარკოტიკია, რომელიც ცდილობს გაგანათლოს და გასწავლოს უპირველე ყოვლისა ის, რომ ყოველთვის მართალი არ ხარ, რომ სხვაც ადამიანია. ლიტერატურა გვეხმარება გავიგოთ, რომ პურს ჭამ თუ ბრინჯს, მაინც ერთ მოდგმას ეკუთვნი. რად გინდა მსოფლიოს მოვლა, ყველაფერი აქაო – გვითხრა ლაო ძიმ, ლიტერატურა სწორი მიმართულებით გადადგმული ერთი ნაბიჯია.

„სცდების და სცდების , სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“ და „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“– ეს ბრწყინვალე ფორმულები

ლიტერატურამ გვაჩუქა, ისევე როგორც ათასი სხვა რამ. რუსთაველი გვიხსნის, რომ კი ბატონო, გეშინია, მაგრამ ამ შიშს აზრი არ აქვს! ლიტერატურა დაღრეჯილობის წამალია, სიცოცხლის საფუძველი და ამ სიცოცხლეში შიშის დაძლევის მთავარი იარაღია.

წიგნის მნიშვნელობა განუზომელია, თუმცა უნდა აღინიშნოს კომპიუტერის როლი და შესაძლებლობები. ამ უკანასკნელმა გაამარტივა ინფორმაციის მიღების გზები. მისი მეშვეობით მოსწავლეები ილუსტრირებულად ხედავენ მასალას და ისმენენ გახმოვანებას, ეს ყველაფერი კი აზროვნებას კიდევ უფრო ავითარებს. წიგნისა და კომპიუტერის კომბინაციის მეშვეობით მოსწავლეები იღებენ კარგ და ღრმა განათლებას, სწავლა სწავლების პროცესი კი მარტივი და საინტერესოა.

ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისათვის მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების გამოყენება. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე დღეს წარმოუდგენელია პროგრესი სახემწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. დემოკრატიული, თავისუფალი და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ქვეყნის უსაფრთხოება, ადამიანის უფლებების დაცვა, სიღარიბესთან და კორუფციასთან, ექსტრემიზთან და ტერორიზმთან ბრძოლა – ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტია. ციფრული წიგნიერების განვითარებამ კი ხელი უნდა შეუწყოს ამ მაღალი იდეალებისაკენ სწრაფვას. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ციფრული და რაოდენობრივი წიგნიერება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წიგნიერება ტრედიციული გაგებით. ისტის გამოყენებისას არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, როგორებიცაა კომპიუტერის მოწყობილობების გამოყენება (კლავიატურა, ეკრანი, ტაგვი), ციფრული მოწყობილობებისა და ელექტრონული რესურსის პარამეტრების გააზრება (მეხსიერება, ფერების რაოდენობა, აპარატურული რესურსები),ციფრული მოწყობილობის მუშაობის პრინციპებისა და ინფორმაციის შენახვა, დამუშავება და მისი გადაცემის შესახებ წარმოდგენის შექმნა.

ისტის გამოყენება სწავლის პროცესში ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ზრდას. გარდა იმისა, რომ ისტის გამოყენებით შესაძლებელია მდიდარი, მრავალფეროვანი და დინამიური სასწავლო მასალის შექმნა და გამოყენება, მისი საშუალებით შესაძლებელია სასწავლო ლიტერატურა გავხადოთ ინტერაქტიული. შედეგად, მოსწავლე ინფორმაციის პასიური მიმღები კი არ არის, არამედ თავად შეუძლია სასწავლო შინაარსის მოდიფიცირება და შექმნაც კი. ყოველივე ეს კი სრულად შეესაბამება სასწავლო პროცესისადმი თანამედროვე, კონსტრუქტივისტულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს ცოდნის მიგნებასა და შექმნას თვით მოსწავლის მიერ.

ხშირად ისმის კითხვა წიგნი თუ კომპიუტერი? ორივე მნიშვნელოვანია მოზარდების განათლებისა და განვითარებისათვის, როგორც ანალიტიკური, ისე ზეპირი აზროვნების ჩამოყალიბებისათვის. წიგნისა და კომპიუტერის როლი უნდა გაემიჯნოს ერთმანეთს, ერთმა არ უნდა გამორიცხოს მეორე. უნდა მოხდეს ორივეს ღირებულებების და საჭიროების წინ წამოწევა და ყველა ამ ასპექტის გათვალისწინებით სარგებლის მიღება წიგნიერების დონის ამაღლებაში.

დიმიტრი უზნაძე მიიჩნევს, რომ სასკოლო სწავლა გაცნობიერებული , მიზანდასახული აქტივობაა და აზროვნებისა და ნებისყოფის მონაწილეობას გულისხმობს. გაცნობიერებული სწავლის ქცევის დაგანხორციელების პროცესში სტიმულსა და რეაქციას შორის დგას აქტიური სუბიექტი, რომელიც მექანიკურად, გარე განმამტკიცებლების გამოყენებით კი არ ეუფლება ამა თუ იმ ქცევას, არამედ საკუთარი მიზნების მისაღწევად სწავლის უნარ– ჩვევების, მოტივაციისა და ემოციების კოორდინირების უნარით ხასიათდება. სწავლის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იგი, როგორც აქტიური სუბიექტი, იღებს გადაწყვეტილებებს, რითაც იქმნება სათანადო აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო განწყობა. უზნაძის აზრით, აღმზრდელი, როგორც სოციალური მიზნების მატარებელი, მომავალზეა ორიენტირებული, აღსაზრდელი კი აწმყოს სუბიექტია, რომელსაც სურს რაღაც და მასზე უარის თქმა უჭირს. სწავლების ორგანიზაციამ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ ბავშვის სწავლა თავიდან დაუქვემდებაროს მის უშუალო მისწრაფებებსა და ინტერესებს – წარმატების მიღწევის, ფუნქციობის მოთხოვნილებას, ცნობისმოყვარეობას. ამავე დროს, იზრუნოს პიროვნების, როგორც ნებისმიერი ქცევის განმახორციელებელი სუბიექტის განვითარებაზე – ისწავლოს გაცნობიერებულად, შეგნებულად, მიზანდასახულად, რაც რასაკვირველია, სრულიადაც არ გამორიცხავს მოსწავლის ინტერესების უგულებელყოფას.

დ.უზნაზის აზრით , აღზრდა არის სწრაფვა იდეალისაკენ. აღმზრდელი ვერ მიაღწევს თავის მიზნებს, თუ არ ჩაწვდება ბავშვის ბუნებას. სასკოლო სწავლა გაცნობიერებული პროცესია, მიზანდასახული აქტივობაა, რომელიც აზროვნებისა და ნებისყოფის მონაწილეობას გულისხმობს. სწავლის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ბავშვი, როგორც აქტიური სუბიექტი, იღებს გადაწყვეტილებას, რითაც იქმნება სათანადო აქტივობისათვის საჭირო განწყობა. მოსწავლის სასწავლო აქტივობები განპირობებული უნდა იყოს შინაგანი მოტივაციით, ასეთ დროს მოსწავლისთვის თავად აქტივობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჯილდო. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწვლეს ადამიანისთვის დამახასიათებელი ერთ– ერთი მოთხოვნილება – ინტელექტუალური (ცნობისმოყვარეობა) მოთხოვნილება ე.წ. სწავლის წყურვილში გადაეზარდოს. ბავშვს გაუჩნდება სწავლის წყურვილი და

შესაბამისად, განწყობაც. დ. უზნაძე მასწავლებლებს ცნობისმოყვარეობის გაზრდის მიზნით, რეკომენდაციებს აძლევს:

1. გაითვალისწინეთ ბავშვის ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობები. ნუ მოსთხოვთ მას ისეთი დავალების შესრულებას, რომელიც მის ძალებს აღემატება.

2. ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი.

3. შეუქმენით სწავლისადმი, ახალი აქტივობისადმი დადებითი განწყობა. სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებით განწყობას გულისხმობს. დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედო ძალებს.

4. სასწავლო მასალა , ერთი მხრივ, შესაფერისი უნდა იყოს მოსწავლის ძალთა განვითარების აქტუალური დონისთვის, მეორე მხრივ, დაშორებული. სხვაგვარად, წინსვლა შეუძლებელი იქნება.

5. საკლასო ოთახში შექმენით ბავშვის შესატყვისი გარემო.

6. განამტკიცეთ სასურველი ქცევა ღიმილით, შექებით, ყურადღებით, ნიშნებით, თამაშით, და სხვა სახალისო მოქმედებებით.

7. გახსოვდეთ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, პირველ რიგში, მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს.

8. ნუ გააკეთებთ აქცენტს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ გგანვითარებაზე. აუცილებელია პიროვნების მთელი ძალების ამოქმედება.

9. მოიხსენით შიშები, რაც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ძალების რწმენის ჩამოყალიბებაში.

თავი III

კვლევის ანალიზი

3.1.კვლევის მთავარი კითხვა და ქვეკითხვები

კვლევის მსვლელობისას გამოიკვეთა კვლევის მთავარი კითხვა და ქვეკითხვები, რომლებიც დამეხმარა პრობლემის დადგენასა და ინტერვენციების განხორციელებაში.

მთავარი კითხვა – **რატომ არ კითხულობენ მოსწავლეები კლასგარეშე ლიტერატურას?**

ქვეკითხვები – **აქვთ თუ არა მოსწავლეებს განვითარებული კითხვისთვის საჭირო უნარები?**

შეუძლიათ თუ არა გამართული კითხვა?

შეუძლიათ თუ არა წაკითხული ტექსტის ანალიზი, შინაარსის გადმოცემა?

არიან თუ არა მოტივირებულნი კითხვისადმი?

ვინ ეხმარებათ მოსწავლეებს წიგნის შერჩევაში?

რა დროს უთმობენ მოსწავლეები კითხვას?

კითხულობენ თუ არა მოსწავლეები მშობლების თხოვნით/ რჩევით?

ესაუბრება თუ არა მასწავლებელი/ მშობელი მოსწავლეებს წაკითხული წიგნის შესახებ?

იყენებენ თუ არა თანამედროვე ტექნოლოგიებს მოსწავლეები კითხვისას?

აქვთ თუ არა თავისუფალი დრო სწორად გადანაწილებული მოსწავლეებს?

აღნიშნული კითხვებიდან გამომდინარე შევიმუშავე კითხვარები მოსწავლეებისთვის (დანართი 1), მშობლებისთვის (დანართი 2) და ბიბლიოთეკარისთვის(დანართი 3).

3.2.კვლევის დღიური

საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესში ვაწარმოებდი კვლევის დღიურს, სადაც შემქონდა მონაცემები მოსწავლეების, საგნის მასწავლებლების და მშობლების შესახებ, ასევე ვიწერდი საკუთარი იდეების, დაკვირვების, მიღებული შედეგების, მონაცემთა ანალიზის შესახებ და ა.შ.

კვლევის დღიური მნიშვნელოვანი იარაღია და თანამგზავრი მასწავლებლისთვის. იგი საშუალებას მაძლევდა მივბრუნებოდი საკითხს, გადამეკითხა და გამეკეთებინა ანალიზი თემის ირგვლივ.

3.3. სამიზნე ჯგუფები

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საბაზო საფეხურის რვა მოსწავლე, მათი მშობლები, ქართული ლიტერატურის მასწავლებლები და ბიბლიოთეკარი. მოსწავლეებთან და ბიბლიოთეკართან გამოვიყენე ანკეტირება, პედაგოგებთან შედგა შეხვედრები, ხოლო მშობლებთან – როგორც ანკეტირება, ისე ჯგუფური ინტერვიუ.

3.4 კვლევის მეთოდები

საკვლევი პრობლემის მსვლელობისას გამოვიყენე მეთოდები: თვისობრივი და რაოდენობრივი. თვისობრივი მეთოდი – ფოკუსჯგუფის შექმნა – მიზნად ისახავს საკვლევი საგნის სიღრმისეულ შესწავლას. ფოკუსჯგუფი შედგებოდა ფილოლოგიის კათედრაში შემავალი პედაგოგებისგან. ფოკუსჯგუფის შეხვედრის დროს, აზრთა გაცვლის პროცესში, რესპოდენტებმა ისაუბრეს კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის აუცილებლობაზე, მოსწავლეების წიგნიერებაზე, მათ ინტერესსა და მიღწევებზე, წიგნის გავლენაზე. მასწავლებლებმა აზრი თავისუფლად გამოთქვეს, იყვნენ გულახდილები, ობიექტურები. მოხერხდა საკვლევ საკითხთან დასმულ კითხვებზე პასუხების მიღება. შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციით გავაკეთბე დასკვნები, რომლებიც დამეხმარა რაოდენობრივი კვლევის შედეგეის გამდიდრებაში.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდი კოლექტიური ხასიათისა, ამიტომ იგი გამოვიყენე წერილობითი გამოკითხვისას, ანკეტირებისას. იგი შედგებოდა დახურული და ღია კითხვებისგან, უმეტესობა დახურული იყო. ანკეტირებისას დაცული იყო ანონიმურობა და იგი გამოვიყენე მოსწავლეების, მათი მშობლებისა და ბიბლიოთეკარისათვის. მიღებული ინფორმაცია გადავიტენე რიცხობრივ მაჩვენებელში. გამოკითხული მოსწავლეების რაოდენობა და სქესი შემდეგნაირია:

მოსწავლე – 8, გოგონა – 4, ბიჭი– 4.



მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა საბაზო საფეხურზე: მეშვიდე კლასი 2 მოსწავლე, მერვე კლასი 1 მოსწავლე, მეცხრე კლასი 5 მოსწავლე.



3.5. საკვლევი საკითხის მონაცემთა ანალიზი

მოსწავლეთა კითხვარის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეებს ბევრი ფაქტორი უშლით ხელს კითხვაში, ზოგი დადის სპორტში, მუსიკაში, გიტარასა და ცეკვაში და თავისუფალი დრო მაინცდამაინც არ რჩებათ. მოსწავლეების უმრავლესობა სარგებლობს სკოლის ბიბლიოთეკით, ამასთანავე ნახევარს სახლშიაც აქვთ კლასგარეშე ლიეტერატურა, თუმცა ბევრი მაინც მასწავლებლის მითითებით კითხულობს. კითხვარმა აჩვენა, რომ მოსწავლეები მშობლებთან ნაკლებად საუბრობენ წაკითხულის ირგვლივ, უფრო მეტად მასწავლებელთან და მეგობრებთან.




დაკავებულია
სპორტით
12%
კომპიუტერს
ანიჭებს
უპირატესობას
38%
წიგნს კითხვა
ურჩევნია
50%


მცირე
მოცულობის
წიგნის კითხვა
ურჩევნია
25%
მნიშვნელობა არ
აქვს მოცულობას
75%


მოსწონს
სამეცნიერო
შინაარსის
ლიტერატურა
12%
მოსწონს
დეტექტივები
38%
მოსწონს
სათავგადასავლო
ლიტერატურა
50%


არ კითხულობს
13%
კითხულობს
მეგობრის
რჩევით
12%
კითხულობს
საკუთარი
სურვილით
50%
კითხულობს
პედაგოგის
რჩევით
25%





მშობლების კითხვარის ანალიზმა დამანახა, რომ მშობლების უმეტესობა არ იცნობს იმ მხატვრულ ლიტერატურას, რომელსაც მათი შვილები კითხულობენ. მშობლებს მიაჩნიათ, რომ მასწავლებელი „ზრუნავს“ მოსწავლეებზე და სწორედ ისინი შეარჩევინებენ სწორად წასაკითხ ლიტერატურას მოსწავლეებს. მშობლების უმეტესობა ამბობს, რომ შვილები კითხვას ცოტა დროს უთმობენ, ძირითადად კომპიუტერთან მარტო თამაშისთვის სხედან. ასევე, ისინი ნაკლებად საუბრობენ შვილებთან წაკითხულის ირგვლივ.


მშობელთა
რაოდენობას არ
აქვს სახლში
ბიბლიოტეკა
25%
მშობლებს
აქვთ სახლში
ბიბლიოთეკა
75%


კითხვის ინტესივობა
12%
25%
38%
25%
არ კითხულობს
წელიწადში კითხულობს
ერთ წიგნს
თვეში კითხულობს ერთ
წიგნს
კვირაში კითხულობს ერთ
წიგნს


წაკითხული წიგნების რაოდენობა
15%
24%
37%
24%
10–15 წიგნი
5–10 წიგნი
1–5 წიგნი
0–1 წიგნი


ეხმარება შვილს წიგნის შერჩევაში 25%
სხვას ავალებს 38%
თავისუფალი დრო არ აქვს 37%



თავი IV

ინტერვენციები, კვლევის ვადები,შეფასება, მიგნებები,რეკომენდაციები და დასკვნა

4.1. ინტერვენციები

დაგეგმილი კვლევიდან გამომდინარე , გამოვლინდა მხატვრული ლიტერატურის კვლევასთან დაკავშირებული პრობლემები, ამიტომაც საჭირო გახდა ინტერვენციების , შესაბამისი გზებისა და ხერხების გამონახვა.

ინტერვენცია 1. საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილას გამოვაკარი სქემა იმ წიგნების ჩამონათვალით, რომლებსაც მოსწავლეები წაიკითხავდნენ რამდენიმე თვის განმავლობაში. მოსწავლეების და ქართულის მასწავლებლების სურვილებით შეირჩა – „წიგნები,რომლებიც აუცილებლად უნდა წავიკითხო“.ყოველი წიგნის წაკითხვის შემდეგ მოსწავლე სქემაზე აღნიშნავდა თავის თავს შესაბამისს გრაფაში. დასახული მიზანი , რომ წაეკითხათ რამდენიმე წიგნი ან მოთხრობა, მიღწეული იქნა.მოსწავლეები

დაინტერესდნენ, მოტივაცია გაუჩნდათ და თუ ყველა არა, რამდენიმე წიგნის წაკითხვა მაინც შეძლეს.

ინტერვენცია 2. კვლევის პერიოდში მოვაწყვე შეხვედრა მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან ერთად. ერთობლივი შეხვედრის მიზანი იყო ესაუბრათ კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის აუცილებლობაზე. პირველ ეტაპზე მშობლები საუბრობდნენ თუ რას კითხულობდნენ მათი შვილების ასაკში, შემდეგ კი თავად მოსწავლეები ლაპარაკობდნენ იმ წიგნებზე,რომლებიც წაიკითხეს ან ახლა კითხულობდნენ. ერთობლივი შეხვედრა ძალიან საინტერესო გამოდგა. შეხვედრის ბოლოს გაიმართა კითხვა – პასუხი წაკითხული ნაწარმოებების პერსონაჟების, თვისებების, ემოციების ,თავგადასავლების შესახებ. შეხვედრა ხალისიანი და საინტერესო გამოდგა. მშობლებმა ბევრი რამ შეიტყვეს მათი შვილების შესახებ და პირიქით, ბავშვებმა გაიგეს მშობლების წაკითხული წიგნების ანოტაციები. სამწუხაროდ, აღმოჩნდა ისეთი მშობლებიც, რომლებიც ნაკლებად ერკვეოდნენ შვილების ინტერესებში.

ინტერვენცია 3. სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას გამოვაკარი წარწერა „წაიკითხე წიგნები, უკეთესად იქნები“ და მოსწავლეებს ვთხოვე იქ მიეწერათ ან გამოეკრათ თავიანთი ემოციები, შეხედულებები, ნაწყვეტები წაკითხული წიგნების შესახებ. მეტი მოტივაციისთვის აქტივობაში ჩავერთეთ მე და ფილოლოგიის კათედრის რამდენიმე მასწავლებელი. მოსწავლეები მართლაც ინტერესით მოეკიდნენ საქმეს და რამდენიმე კვირაში კედელზე გაჩნდა ახალ–ახალი მინაწერები.

ინტერვენცია 4. მომდევნო ინტერვენცია გაცილებით მოულოდნელი, სიურპრიზებით აღსავსე და საინტერესო აღმოჩნდა. იმისთვის, რომ მოსწავლეებში გამეზარდა კლასგარეშე ლიტერატურის კითხვისადმი მოტივაცია, სოციალური ქსელის საშუალებით დავუკავშირდი პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს ბატონ გიორგი კეკელიძეს და დავპატიჟე სკოლაში. მართლაც, შეხვედრა შედგა, მოსწავლეები განსაკუთრებულად მოემზადნენ, წაიკითხეს გიორგი კეკელიძის წიგნები „თომას ზღაპრები“ და „გურული დღიურები“. ბატონი გიორგი ოთახში შეკრებილ მოსწავლეებს ესაუბრა კითხვის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე და სკოლის ბიბლიოთეკას პროექტ „ექვილიბრიუმის“ ფარგლებში გადმოსცა საჩუქრად წიგნები.მოსწავლეები დაინტერესდნენ ნაჩუქარი წიგნებით, წაიკითხეს ისინი, გაიმდიდრეს თვალსაწიერი და აიმაღლეს წიგნიერების უნარები.

ინტერვენცია 5. მოსწავლეების ინტერესიდან გამომდინარე სკოლის ბიბლიოთეკაში შევარჩიე მხატვრული ლიტერატურა ასაკობრივი შესაბამისობით და საინტერესო თემატიკით, დავავალე მოსწავლეებს მათი წაკითხვა და კვირის ყოველ პარასკევს ყველა ერთად განვიხილავდით წაკითხულ წიგნს კითხვა –

პასუხის რეჟიმში. ამან შედეგი გამოიღო, მოსწავლეები დაინტერესდნენ ვინ რას კითხულობდა და ცდილობდნენ ერთმანეთიდან ენათხოვრებინათ წიგნები. რაც მთავარია, მოკლე დროში მოხერხდა რამდენიმე წიგნის წაკითხვა – განხილვა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი მოსწავლე არ ჩაერთო სრულად აქტივობაში და ვერ მოხერხდა მისი დაინტერესება.

4..2. კვლევის ვადები

აქტივობა	**იანვარი**	**თებერვალი**	**მარტი**	**აპრილი**	**მაისი**	**ივნისი**
პრობლემის იდენტიფიცირება	X					
კვლევის გეგმის შემუშავება	X					
მასწავლებელთა ფოკუსჯგუფთან შეხვედრა		X		X		
კითხვარების შედგენა და შევსება				X	X	
მონაცემთა ანალიზი				X	X	X
პირველი ინტერვენცია	X	X	X	X	X	X
მეორე ინტერვენცია				X		
მესამე ინტერვენცია	X	X	X	X	X	X

მეოთხე ინტერვენცია		X				
მეხუთე ინტერვენცია		X	X	X	X	X
კათედრაზე შეხვედრები	X				X	X
კვლევის დასკვნა						X
კვლევის დღიურის წარმოება	X	X	X	X	X	X
პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოებასთან						X

4.3. ინტერვენციების შეფასება

ინტერვენციების დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ გულდასმით გადავხედე შეგროვებულ ინფორმაციას, გავაანალიზე დაკვირვების დღიურში ჩანიშნული კითხვარების შედეგები და მივედი იმ დასკვნამდე, რომ სასკოლო პრაქტიკაში და სასწავლო პროცესში მოსწავლეების დაინტერესება მხატვრული ლიტერატურისადმი, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებისათვის, ლიტერატურის კითხვისთვის საჭირო უნარების გასავითარებლად აუცულებელია მოსწავლეთა სურვილების, მისწრაფებების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინება. მასწავლებლებმა უნდა ითანამშრომლონ მოსწავლეებთან და მშობლებთან, ერთმანეთში უნდა გაცვალონ იდეები, აზრები, უნდა მიიღონ უკუკავშირები, რომ სწორად დაგეგმონ საკუთარი საქმიანობა. მოსწავლეებს უყვართ, როცა პატივს სცემენ, იზიარებენ მათ აზრებს, ამიტომაც თუ დაინახავენ, რომ კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა სასარგებლოა, ცხოვრების ყველა ეტაპზე გამოადგებათ და განვითარებაში ხელს შეუწყობთ, უფრო მეტი მონდომებით მოეკიდებიან მას.

4.4. მიგნებები

ინტერვენციების განხორციელების და შეფასების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და მასწავლებლებისთვის :

1. მოსწავლეებს სოციალური მდგომარეობა , რის გამოც არ აქვთ სახლში წიგნები, ხელს უშლის კლასგარეშე ლიტერატურის კითხვაში.
2. მოსწავლეთა გარკვეულ რაოდენობას არ ჰყავს მშობლები სახლში, ბებია – ბაბუებს ნაკლებად უჯერებენ და დროს უქმად ხარჯავენ.
3. მოსწავლეებს არ აქვთ კარგად გაწერილი დროის რეჟიმი.
4. მასწავლებლებმა ხშირად არ ვიყენებთ მოსწავლის აზროვნებაზე მორგებულ აქტივობებსა და ღონისძიებებს.
5. მასწავლებლებმა წიგნების შერჩევისას გავითვალისწინოთ მათი შესაძლებლობები.
6. ვაჩვენოთ მოსწავლეებს, რომ წაკითხული წიგნების რაოდენობა კია არაა მთავარი, არამედ ხარისხი.
7. ჩავრთოთ მშობლები, დედ– მამა, მოსწავლის კითხვის პროცესში.
8. ვურჩიოთ მშობლებს, რომ ისინი იყვნენ შვილებისთვის სასურველი და მისაბაძი მოდელები.
9. ვასწავლოთ მშობლებს წაიკითხონ ერთობლივად ლიტერატურა და ეს პროცესი აქციონ ყოველდღიურ რუტინად.

4.5. რეკომენდაციები

1. საჭიროა მოსწავლეებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.შესაძლებელია ამ კუთხით შესაბამისი სამუშაო შეხვედრებისა და გრაფიკების შემოღება და მისი რეგულარული წარმოება.

2. საჭიროა საბაზო საფეხურზე, ისევე როგორც დაწყებით საფეხურზე, კითხვის გაკვეთილების შემოღება.

3. საჭიროა ფილოლოგიის კათედრაზე ხშირი შეხვედრები პედაგოგებს შორის პრობლემური საკითხის გაანალიზების, შეფასების და ინტერვენციების დაგეგმვის მიზნით.

4. შევქმნათ სკოლაში მკითხველთა კლუბი, რომელშიც არამარტო მოსწავლეები იქნებიან გაწევრიანებული, არამედ მშობლები და მასწავლებლებიც.

5. აუცილებლად , ყოველწლიურად, გამდიდრდეს სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, რომ ნებისმიერი შესაძლებლობების ბავშვს ჰქონდეს

საშუალება თავისუფალი არჩევანი გააკეთოს, აქ იყოს თავმოყრილი ილუსტრირებული, სათავგადასავლო, შემეცნებითი, კლასიკური თუ თანამედროვე ავტორთა წიგნები.

4.6. დასკვნა

საბაზო საფეხურზე განხორციელდა პრაქტიკული კვლევა სათაურით „კლასგარეშე ლიტერატურის კითხვისთვის საჭირო უნარების განვითარება საბაზო საფეხურზე“. კვლევისას გამოყენებული იქნა მეთოდები რაოდენობრივი და თვისობრივი. კვლევის პერიოდში მიღებულ შედეგებზე შემუშავდა რეკომენდაციები და გატარდა ინტერვენციები.

კვლევამ ცხადყო, რომ სასურველია მასწავლებელმა მომავალში, პრაქტიკაში გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდები და აქტივობები მოსწავლეების წიგნიერების, მედიაწიგნიერების, სწავლა– სწავლებისათვის საჭირო უნარების ასამაღლებლად.

კვლევის აქტივობების შერჩევისას ვხელმძღვანელობდი პრინციპით რა უნდა ვიცოდე, რომ დავეხმარო მოსწავლეს სასურველი შედეგების და სასწავლო მიზნების მიღწევაში, გავზარდო მათში მოტივაცია, გავააქტიურო ისინი, ინტერესით ჩავრთო საგაკვეთილო პროცესში, რაც გამოიწვევს მათში აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებას.

ბიბლიოგრაფია

1. ბექა შონია (10 ივლისი, 2011წელი), „წიგნი – სულის გიმნასტიკა“, http://www.tabula.ge.
2. დავით ბოლქვაძე (15 აგვისტო, 2014 წელი), „ XX საუკუნის უნარები“, ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge.
3. გურამ დოჩანაშვილი, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.
4. ეროვნული სასწავლო გეგმა (2018 წელი).
5. ლევან ბერძენიშვილი (2016 წელი), „წიგნიერების ევოლუცია“, გამომცემლობა არტანუჯი.
6. მაია ინასარიძე, სოფიკო ლობჟანიძე, მანანა რატიანი, ირინა სამსონია (2016 წელი), „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის გზამკვლევი– ნაწილი II “, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

7. მალხაზ ხარებავა (2012 წელი, 27თებერვალი), „მხატვრული ლიტერატურა სკოლაში“, ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge.
8. მანანა მელიქიშვილი (2013 წელი), “დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური კონცეფცია“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
9. მანანა რატიანი, მანანა სეხნიაშვილი, მაია ბლიაძე, ცირა ბარბაქაძე, ნატალია ინგოროყვა, თამარა მოსიაშვილი (2015წელი), „მასწავლებლის წიგნი – გამჭოლი კომპეტენციები“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
10. ნონა ლეიაშვილი (6 ნოემბერი , 2012 წელი), „მხატვრული ლიტერატურის განმავითარებელი ასპექტები სასწავლო პროცესში“, ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge.
11. რეზო ყარალაშვილი, „მხატვრული ნაწარმოების აღქმა“, ქართული 12–თამაზ ვასაძე, ნუგზარ მუზაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიძე, გამომცემლობა დიოგენე.
12. პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია (2012 წელი), „ მასწავლებლის სახელმძღვანელო“.

დანართი N1

კითხვარი მოსწავლისთვის

მონიშნეთ სქესი – მდედრობითი ☐, მამრობითი ☐

1. გიყვართ თუ არა კითხვა?

ა) კი ბ) არა გ) მეტ– ნაკლებად

2. რომელ საგნებს ანიჭებთ უპირატესობას სკოლაში?

_____

3. თავისუფალ დროს რა აქტივობას ანიჭებ უპირატესობას?

ა) კომპიუტერულ თამაშებს ბ) სპორტს გ) წიგნის კითხვას დ) სხვა

4. კოთხულობ თუ არა კლასგარეშე ლიტერატურას?

ა) დიახ ბ) არა გ) იშვიათად დ)ხშირად

5. როგორ წიგნს ანიჭებ უპირატესობას?

ა) დიდი მოცულობისას ბ) მცირე მოცულობისას გ) ილუსტრირებულს
დ) მნიშვნელობა არა აქვს

6. რა ჟანრის ლიტერატურა მოგწონს?

ა) სათავგადასავლო ბ) დეტექტიური გ) სამეცნიერო დ) ზღაპრები
ე) შემეცნებითი

7. რა ინტესივობით კითხულობ?

ა) ყოველდღე ბ) კვირაში ერთი– ორჯერ გ) თვეში ერთხელ დ) წელიწადში
ერთხელ

8. წიგნს ვკითხულობ

ა) საკუთარი სურვილით ბ) მშობლების მითითებით გ) პედაგოგის
მითითებით დ) მეგობრის რჩევით

9. ინფორმაციის მიღების რომელ მეთოდს ანიჭებთ უპირატესობას?

ა) წიგნს ბ) ინტერნეტს/ კომპიუტერს გ) დავდივარ ბიბლიოთეკაში

10. დაასახელეთ წიგნი,რომელმაც თქვენზე მოახდინა ზეგავლენა

_____

11. კითხულობთ თუ არა უფროსებთან ერთად?

ა) კი ბ) არა გ) იშვიათად

12. უყვები თუ არა მშობლებს / მასწავლებლებს წაკითხული წიგნის შესახებ?

ა) კი ბ) არა გ) მიჭირს მოყოლა

13. სახლში გაქვს თუ არა კუთხე, სადაც შენი წიგნები გიწყვია?

ა) კი ბ) არა

14. თუ ფიქრობ რომ ხშირად არ კითხულობ , რა არის ამის მიზეზი?

_____

15. როგორ ფიქრობ , რატომ არის კარგი ბევრი წიგნის კითხვა?

_____

დანართი N2

კითხვარი მშობლებისათვის

მოგესალმებით,

ვატარებ კვლევას მეშვიდე, მერვე , მეცხრე კლასებში. თქვენი მონაწილეობა მნიშვნელოვანია. გთხოვთ , შეავსოთ მოცემული კითხვარი, არ მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი, რათა დაცული იქნას ანონიმურობა.

1. როგორ ატარებს თქვენი შვილი თავისუფალ დროს?
   ა) კითხულობს წიგნს ბ) თამაშობს კომპიუტერზე
   გ) დაკავებული სპორტით დ) არ აქვს თავისუფალი დრო
2. კითხულობს თუ არა თქვენი შვილი წიგნებს თავისუფალ დროს?
   ა) კი ბ) არა გ) იშვიათად

3. რა სიხშირით კითხულობს თქვენი შვილი წიგნებს?
   ა) კვირაში ერთხელ ბ) თვეში ერთხელ გ) წელიწადში ერთხელ
   დ) არ კითხულობს

4. გაქვთ თუ არა სახლში ბიბლიოთეკა?
   ა) კი ბ) არა
5. ეხმარებით თუ არა შვილს ლიტერატურის შერჩევაში?

   ა) კი ბ) არა გ) დრო არ მაქვს დ) სხვას ვავალებ

6. სად ურჩევნია კითხვა თქვენ შვილს?
   ა) წიგნში ბ) კომპიუტერში გ) სხვა მოწყობილობაში

7. რომელ წიგნ კითხულობ თქვენი შვილი ამჟამად?

   _____

8. ბოლოს რა წიგნი შეუძინეთ თქვენს შვილს?

   _____

9. ხედავთ თუ არა კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის აუცილებლობას?

   ა) კი ბ) არა

10. კითხულობთ თუ არა მასთან ერთად?
    ა) კი ბ) არა გ) დრო არ მაქვს

11. საუბრობთ თუ არა წაკითხულის ირგვლივ?

ა) კი ბ) არა გ) არასდროს დ) ხშირად

12. აძლევთ თუ არა შვილს რჩევებს რა წაიკითხოს?
ა) კი ბ) არა

13. თქვენი აზრით, კითხვის პროცესი ბავშვისთვის იყო
ა) იძულებითი ბ) სახალისო

14. თქვენი აზრით, მოსწავლის წიგნიერების დონის ასამაღლებლად ვის ენიჭება უფრო დიდი როლი?

ა) ვფიქრობ მასწავლებლის როლი უფრო მნიშვნელოვანია

ბ) მხოლოდ მშობელია პასუხისმგებელი

გ) ორივე პასუხისმგებელია

15. საშუალოდ რამდენ წიგნს კითხულობს თქვენი შვილი მთელი წლის განმავლობაში?
ა) 1– 5
ბ) 5–10
გ) 0 –1
დ) 10– 15

დანართი N3

კითხვარი ბიბლიოთეკარისთვის

1. აკმაყოფილებს თუ არა სკოლის ბიბლიოთეკა მოსწავლეთა მოთხოვნებს?
   ა) დიახ ბ) არა გ) მეტ – ნაკლებად

2. რა სახის ლიტერატურაა ბიბლიოთეკაში?
   ა) მხატვრული ბ) სამეცნიერო გ) მეთოდური დ) შერეული

3. რამდენად ხშირად დადიან მოსწავლეები ბიბლიოთეკაში?
   ა) ხშირად ბ) არ დადიან გ) მეტ– ნაკლებად

4. რა ჟანრის ლიტერატურას ირჩევენ მოსწავლეები ხშირად?
   ა) სამეცნიეროს ბ) მხატვრულს გ) შერეულს

5. რას ასახელებენ მოსწავლეები ყველაზე ხშირად ბიბლიოთეკაში სტუმრობის მოტივად?
   ა) საკუთარ სურვილს ბ) პედაგოგის მითითებას გ) მშობლის რჩევას
6. ანიჭებენ თუ არა წიგნის დიზაინს მოსწავლეები ყურადღებას?
   ა) კი ბ) არა გ) ნაწილობრივ

7. გამოხატავენ თუ არა ემოციას მოსწავლეები წგნის დაბრუნების შემდეგ?
   ა) კი ბ) არა გ) იშვიათად

8. როგორია ზოგადი ინტერესი ბიბლიოთეკისადმი?
   ა) მომხმარებელთა ინტერესი იკლებს
   ბ) მომხმარებელთა რაოდენობა იმატებს
   გ) ცვლილება არაა შესამჩნევი

9 .ჭირდება თუ არა წიგნის არჩევისას მოსწავლეს ბიბლიოთეკარის დახმარება?

ა) კი ბ) არა გ) იშვიათად

10 . ინტერესდებიან თუ არა მოსწავლეების მშობლები შვილის წიგნისადმი დამოკიდებულებით?

ა) კი ბ) არა გ) ხანდახან

კვლევის რეფლექსია

2019 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით განვახორციელე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა საბაზო საფეხურზე. პრობლემა იყო მოსწავლეებში კლასგარეშე ლიტერატურის კითხვისთვის საჭირო უნარების არქონა. კვლევაში განხილულია ის ძირითადი ღონისძიებები და აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს კარგ მკითხველებად ჩამოყალიბებასა და წიგნიერების დონის ამაღლებაში.

კვლევის მსვლელობისას შევეცადე დამედგინა რა იყო ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიდა მოსწავლეებს კითხვაში, კლასგარეშე ლიტერატურის სიყვარულსა და დაინტერესებაში. ამ მიზეზებიდან გამომდინარე მუშაობისას გამოიკვეთა მთავარი კითხვები და ქვეკითხვები, რომლებიც დამეხმარა კითხვარების შედგენაში , ანკეტირებასა თუ ინტერვიუს ჩატარებაში.

პრობლემიდან გამომდინარე დავისახე მიზანი, დამედგინა რატო არ კითხულობდნენ მოსწავლეები კლასგარეშე ლიტერატურას, გამომენახა პრობლემის გადაჭრის გზები, განმეხორციელებინა ინტერვენციები და შემეფასებინა გაწეული მუშაობა. შესაბამისად შევიმუშავე კვლევის გეგმა და ვაწარმოებდი კვლევის დღიურს .

კვლევის სრულყოფილად წარმართვისთვის გავეცანი შესაბამისს ლიტერატურას, როგორც ნაბეჭდი სახით, ისე ინტერნეტის საშუალებით. გამოყენებული ლიტერატურა მითითებულია კვლევის ბოლოს ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესების სრული დაცვით.

კვლევისთვის გამოვიყენე თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები,თვისობრივი მეთოდიდან უპირატესობა მივანიჭე ფოკუსჯგუფს, ხოლო რაოდენობრივიდან გამოვიყენე ანკეტირება და ჯგუფური ინტერვიუ. მირებული შედეგებით გავაანალიზე ინფორმცია, ავსახე იგი დიაგრამების სახით და გამოვიტანე დასკვნები.

კვლევის განმავლობაში ვაწარმოე ინტერვენციები, სულ ხუთი, თითოეული მათგანი გათვლილი იყო მოსწავლეთა საჭიროებებზე, მათში წიგნის კითხვისადმი მოტივაციის ამაღლებასა და ინტერესებზე. შევაფასე ინტერვენციის შედეგები.

კვლევაში გარდა მოსწავლეებისა ჩართული მყავდა ფილოლოგიის კათედრის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და სკოლის ბიბლიოთეკარი. მოეწყო კათედრაზე რამდენიმე შეხვედრა კვლევის პრობლემური საკითხების გაანალიზების მიზნით.

საბოლოოდ მინდა ვთქვა, რომ კვლევის ყველა ეტაპი გავიარე და საკითხზე ამომწურავად და გასაგებად ვისაუბრე, დავიცავი კვლევის ეთიკა.

კვლევის საბოლოო შედეგები გავაცანი ფილოლოგიის კათედრის პედაგოგებს, შეფასების ჯგუფს და მათგან მივიღე პოზიტიური უკუკავშირი , რომელიც იყო კონსტრუქციული და საქმიანი.

2019 წელი. 12 ივნისი.

მაია ცნობილაძე